ამავე მაღაროში მოხდა აფეთქება ამ ექვსი წლის წინად, მხოლოდ მაშინ ამდენი მსხვერპლი არ შეწირულა. ვის არ ახსოვს რიკოვის მაღაროს აფეთქება, რომელმაც სამასი მუშა იმსხვერპლა? ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის კონოვალოვის კომისიამ მაშინ გამოიკვლია აფეთქების მიზეზი და იმ დასკვნას დაადგა, რომ საჭიროა გამოიცეს კანონი, რომელიც აიძულებს მაღაროს პატრონებს შეიძინონ მუშებისათვის სასუნთქი აპარატები, კარგად გაწვრთვნილი მშველელთა რაზმი იყოლიონ და სხვა. იმავე ვაჭრობა-მრეწვ. მინისტრის ამხანაგის კონოვალოვის კომისიამ აღმოაჩინა, რომ რიკოვის აფეთქების დროს სხვა და სხვა ალაგას თერთმეტი მაღარო ყოფილა მოუწყობელი, სამთო სამუშაოს თვალსაზრისით შეუფერებელ პირობებში.

სხვა და სხვა ამბები

— **კაციჭამია.** პარიზს ახლო, ვერსალში მოსამსახურე კერონს მოუკლავს 17 წლის ქალი და რამდენსამე ადგილას ხორცი ამოუჭრია. როდესაც კერონი დააპატიმრეს და გამოჰკითხეს მიზეზი, მან სთქვა: ძალიან მინდოდა ქალის ხორცის გემო მენახაო. ამოჭრილი ხორცი კერონს შეუჭამია.

— **ეპისკოპოსი გერმოგენი.** „კასპს“ ატყობინებენ, ამ ახლო დროებში ეპისკოპ. გერმოგენს სინოდის წევრად დანიშნავენო.

— **რასპუტინი.** ამას წინად პეტერბურგს ჩასული რასპუტინი. „კასპის“ სიტყვით, სადღაც წასულა.

ზოგი ამბობს, ყირიმს წავიდაო, ზოგი კი—ნიკოლოოზის რკინის გზით ტობოლის გუბერნიისაკენ გასწიაო.

მოზვერილი ამბები

სოფელ წიფა. შორ. მაზ ყველას ეცოდინება, რომ 1892 წლიდგან მატარებლებმა იწყეს სიარული სურამის გვირაბით და ძველი გზა გაუქმდა. ამ გზაზე ერთ ალაგას, სადაც პატარა მდინარე „შავმორევა“ ჩამოდის, იყო გაკეთებული ხიდი 10—12 საჟინის სიმაღლეზე, რომელიც პირველად გზების გაყვანის დროს აევსოთ მიწით და ქვით, ქვემ კი პატარა გვირაბში წყალი გადიოდა. ამ შვიდი წლის წინ ე. ი. 23 ივლისს 1905 წლისა ეს გვირაბი აივსო ქვით და მიწით და ამისა გამო წყალი შეგუბდა ერთად რამოდენიმე საჟენზე, ბოლოს წყლის სიძლიერემ გასტეხა გვირაბი და წამოვიდა ზღვასავით, რამაც მოიტაცა ერთი ქალი, რომელიც ძლივს იპოვეს დაგლეჯილი, გარდა ამისა წაიღო წისქვილები, ადგილები და ცოტა ეკკლესიის გალავანი. ამ 1912 წლის იანვარში კიდევ აივსო იგივე გვირაბი. ხალხი დიდ შიშსა და საგონებელში ჩავარდა, მისცეს თხოვნა მთავრობას, რომელმაც ყურადღება მიაქცია და წარსულ თებერვლის 21 რკინის გზამ დააყენა მუშები, რათა გაეჭრათ და გზა მიეცათ წყლისთვის ვიდრე მუშები გასჭრიდნენ და გზას მისცემდენ წყალს, ადიდდა და შეგუბდა წყალი, მერე ერთბაშათ გაგლეჯა ესვე გვირაბი და წამოვიდა ერთი უშველებელი ხმით, რომ ეგონებოდა კაცს ეს არის მაგარ ციხეს იღებენ თოფზარბაზნებითო, ახლაც წაიღო და წალეკა ხუთი წისქვილი, სხვა ზარალიც ბევრი ჰქნა. ეს გვირაბი მესამეთაც გაივსო და წყალი კიდევ შეგუბებულია, რომელიც შიშის ზარს სცემს წყლის ნაპირს მცხოვრებ ხალხს, მით უმეტეს, რომ ორჯელვე ეზოებში და სახლებში გვიკარდებოდა ხოლმე.

ამ სოფელში იანვრიდგან ამა წლისა დაარსდა მეორე ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, შენობის უქონლობისა გამო იგი დროებით მოთავსებულია ერთ ცულ ოთახში. სამი ოვე იქნება სახლის აშენება უნდა სოფელს სკოლისთვის, მაგრამ ვერ შეთანხმდენ, ზოგი გაიძახის ოც თუმნიანი სახლი გვეყოფოო და ზოგი კიდე სხვას; როგორც იქნა შენობის აშენება გაიცა 820 მანეთად, მაგრამ ახლა სკოლისთვის ადგილი ვერ გამონახეს, ყველას თავის სახლის მახლობლად ჰსურს სკოლის აშენება, ადგილის ავ-კარგობას კი არა კითხულობენ. აქ მდებარეობს მრავალი რკინის გზის თავისუფალი ადგილები (отчужденія) შუა სოფელში; სთხოვეს ერთი ჰექტარა ნაჭერი რკინის გზის უფროსს, ნებაც მოვიდა, მაგრამ იჯარა უნდა იხადოთო. ნუ თუ რკინის გზის მთავრობა არ დაუთმობს ერთი სახლის ადგილს სწავლა-განათლების საქმეს? მგონი გზების ახალი უფროსი არ ინებებს, რომ ორმოციოდე ოთხკუთხი საჟენი მიწა არ დაუთმოს სკოლას უფასოდ, ისიც დროებით, რადგანაც ხის შენობა კეთდება და მერე შესაძლებელია სხვაგან შეიძინონ ადგილი, თუ რკინის გზა დაისაჭიროებს.

კირილე ციცქიშვილი.

ს. გორდი (სენაკის მაზრა). სოფელი გორდი მდებარეობს სამეგრელოს საზღვარზე; მდებარეობით ეს სოფელი არის მთაგორიანი, მაგრამ სახნავი მიწები ნაყოფიერი აქვს. როგორც ქართული ისტორია მოგვითხრობს ეს სოფელი ძველად საზაფხულო სამყოფი იყო სამეგრელოს მთავრისა; ეხლაც მშვენიერი ჰაერით და ბუნებით ზაფხულობით ბევრს ხალხს იზიდავს. ამ სოფლის მცხოვრებნი უმთავრესად აზნაურები და გლეხები არიან. დიდი თოვლი ხშირი სტუმარია გორდელებისა, მაგრამ წელს კი ზამთარმა ზაფხულივით გაიარა. ეხლა ყვავის ტყემალი, ბია (კომში) და სხვა.

ძლიერ მოდებულია სხვა და სხვა სნეულებები, მაგრამ საუბედუროდ ექიმი აქ ძვირი საშოვარია. სწავლა-განათლებით ეს სოფელი ბევრად ჩამორჩენილია სამეგრელოსსხვა კუთხეებზე. თუმცა მართალია არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელიც განსაკუთრებით გლეხები საგან არის აშენებული. წელს აშენეს ერთ კლასიანი სასწავლებელი სამღვდელოებამ და აზნაურობამ. ორკლასიან სასწავლებელში არის აგრედვე მოთავსებული სკოლა ქალებისა, რომელიც დაარსეს წელს.

გორდელი.

გაფიცვები.

დეპეშები

ვენა. ბოჰემიის ჩრდილოეთ-დასავლეთის ქვანახშირის მაღაროთა მუშებმა გაფიცვა შესწვიტეს,

ლონდონი. მაღაროს მუშების აღმასრულებელი კომიტეტი გაფიცვის შეწყვეტას ურჩევს მუშებს.

მთამადანების მუშათა კომიტეტის გამოანგარიშებით, მუშობის დაწყების მომხრე ყოფილა 201,013 კაცი, წინააღმდეგი 244,011.

ტოკიო. კეტრეში გაფიცვა გრძელდება. 5000 კაცია გაფიცული. ადმინისტრაცია ძალიან შეშინებულა. კრეისერ „ქასიდატეზე“ ზარბაზანი გასკდა. დაჭრილ-დახოცილი ბევრია.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

პეკინი. პრეზიდენტმა ჩანცზობინი გაამწესა სამხედრო მინისტრად, სუიცანი - იუსტიციის მინისტრის თანაშემწედ, სუიშაოჩენს, რომელმაც მთავარ შტაბის უფროსობა არ მოისურვა. ჩაბარეს სატახტო ქალაქის პურის საწყობის გამგეობა. თაონშაი ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს. კაბინეთის წევრნი შანჰაზე გამოვლიან და ზღვით ჩამოვლენ.

კულჯა. ქაშვარის ერთი რაზმი, რომელიც აჯანყებულ მონგოლებს შეეერთდა, ახალ სუიდუნს მიდის.

სუიდუნიდან ქალაქის დასაცავად ორი როტა ჩამოვიდა. ილის ნაპირებზე მხედრობა გაჭგზავნეს. ურუმჩის გუბერნატორი და რესპუბლიკელები შეთანხმებულან, რათა მოლაპარაკება გამართონ ჩუგუჩაკში, სადაც ორისავე მხრის დელეგატები დესწრებიან. ქუნჩანში გაწურთვნილ ჯარის ორი ბატალიონი ჯამაგარობის მიუღებლობის გამო აჯანყებულა. მეამბოხენი დამცველ ჯარს დაუმარცხებია.

ურგა. ხარბინიდან ბოვანის სამთა-ვროს წარმომადგენელი არაქუაგუნი ჩამოვიდა. შუაგულ მონგოლეთიდან, ავტონომიის გამოცხადების შემდეგ ეს პირველი მთავარი ჩამოსულა ჯერ. ამბობენ, არაქუანგუნისათვის ჯერიმისისა და ჯოუდასის სეიმს დაუვალებია, პუტუხტას სთხოვე ჩვენც შეგვიერთოო. მონგოლათიდან სხვა მთავრებსაც მოელიან. არაქუანგის სიტყვით, მთლად მონგოლეთის მცხოვრებნი მოწადინებულნი ყოფილან ჩინეთის ჩამოშორებისა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ მონგოლეთის დამოუკიდებლობისათვის.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

ურმია. სამად-ხანის მიერ მხედრობის უფროსად დანიშნული ამირიავშარი ჩამოვიდა. მისთვის დაუვალებიათ ჩამოართვას რუსეთის საკონსულოში მყოფ ნაუფროსალს ჯარი, რომელიც 250 კაცისაგან შესდგება და შეადგინოს მეორე რაზმი 150 მხედრისაგან. ახალმა გუბერნატორმა პოლიცია გააუქმა და ძველი საადმინისტრაციო დაწესებულებანი აღადგინა. სალარ-სედ-დოულეს ბრძანებით სოუჯბულაყის ქურთთა ფამების ბელადები მხედრობას აგროვებენ.

ბაქო. სპარსეთიდან ჩამოვიდა საღლიანის პოლკი, რომელსაც დიდძალი ხალხი შეეგება.

ჯულფა. ამას წინად ავტომობილით თავრიზსა და ქოის წასული რუსის გენერალი კარპოვი დაბრუნდა. ავტომობილები ურმიის ტბამდე მისულან და სრულიად უტეხის გზით უვლიათ.

ქოი. ოსმალებმა ზალაჩაისა და ჩიარიკის ხიდის გაკეთება არ მოისურვეს. არ მოინდომეს აგრედვე ჩიორიკსა და დეერს შუა ტელეგრაფის გაყვანა.

ამბობენ, ჩიორიკში მყოფ ასკერებს, განსაკუთრებით ჯარში ახლად გაწვეულთ, მენინგიტის (ტვინის ანთებაა, საშინელი გადამდები სენი) ავადმყოფობა გასჩენიათო.

ცხრა მარტს ქურთებსა და რუსის ჯარის რაზმს, რომელსაც კაპიტანი კისლი მეთაურობდა. სროლა ჰქონდათ დილმანს ახლო. ეხლა რაზმის უფროსს სალმასიდან სოფელ კაბაჰტეპე—აქიანსა და ზავადუნში კაზაკები და მსროლელი ჯარის-კაცი გაუგზავნია. სოფლებისათვის ალყა შემოურტყავთ, მაგრამ ქურთები იქ ადარ აღმოჩენილან. მეზობელ სოფლელებისაგან რუსებს გაუგიათ: როდესაც ქურთებმა შეიტყეს, რუსის რაზმისათვის აგვიტეხნია სროლაო, შეშინდნენ და მთებში გაიხიზნენო. სოფელი ქურთებს ადრევე მიუტოვებიათ.

მეშედი. წმიდა ბესტი რუსეთის ჯარმა მუტევადიბაშის ჩააბარა, რომელსაც მეჩითისა და საგვარეულო აკლდამის დაცვისათვის რუსებს წერილით მადლობა გადაუხადა. დაპატიმრეს და გუბერნატორს გადასცეს ერთი სეიდი, რომელიც ხალხს აღელვებდა. დაპატიმრეს აგრედვე 24 საეკვო პირი აჯაღების ბელადები, მათ შორის ავდანელი იუსუფაც, სადაც მიიმალნენ. აჯაღებში მოჰკლეს 39 და დასჭრეს 26. რუსის ჯარისათვის მოუკლავთ ორი მსროლელი, ქალაქში მშვიდობიანობაა.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

ბენგასი. იტალიელთა ჯარმა ოსმალთა ჯარი დაამარცხა და იფრინა. ეს ოსმალთა რაზმი, ხშირად ესხმოდა ხოლმე თავს იტალიელთ და სიმაგრეთა აგებაში ხელს უშლიდა. იტალიელებისათვის ჯ დაუჭრიათ, ერთი მოუკლავთ. ოსმალთ დაუკარგავთ 100 კაცი - დაჭრილ-დახოცილი.

რომი. ლუინიდან დეპეშით იტყობინებიან: ხელში ჩაიგდეს ორი ჰაეროპლანი, საფრანგეთიდან ვითომდა იტალიელთათვის გაგზავნილი, ნამდვილად კი ოსმალებს მისდიოდათ. ჰაეროპლანები რომს გაჭგზავნეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-ბარედ.

23 და 24 მარტი.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. სმირნის გემით მოსული ქართველი, რუსი და ბულგარელი სომეხი მაშინ დაატიმრეს, როდესაც ბათუმს მომალალ გემზე ასვლას აპირებდნენ. დაპატიმრებულთ ცხრა ყუმბარა და ორი პარკი დინამიტი უპოვნეს.

სტამბოლს ჩამოიყვანეს ჰედგორიცის ციხიდან გამოქცეულნი და სალონიკში დაპატიმრებულნი დამნაშავენი, ნამინისტრალი და მისი ამხანაგები, რომელთაც ჩერნოგორიის მეფის ნიკოლოოზის მოკვლის განზრახვას აბრალებენ.

გუშინ დაპატიმრებული მეყუმბარენი ვარნიდან ჩამოსულან, კირკორა სომეხმა სთქვა, ბულგარელი სომეხი ვირო და სხვა და სხვა სახელმწიფოს პასპორტი კი აღმოჩნდა. ამბობენ, საშიში ანარქისტიაო. ჰოდგორიციდან გამოგზავნილი ნამინისტრალი ივანიჩი გაანთავისუფლეს, მხოლოდ პოლიციამ უნდა ადევნოს თვალ-ყური.

იანინს ახლო ალბანელები ჟანდარმებს თავს დაესხნენ და ორი მოჰკლეს. კუსტენდილს ახლო მდებარე ოსმალების სიმაგრე დინამიტით ააფეთქეს 4 ჯარისკაცი მოჰკლეს.

ხორვატიის საკითხი.

ვენა. ვენის გაზეთები ხორვატიაში საკონსტიტუციო გარანტიათა მოსპობის თაობაზე სწერენ; მათ არ მოსწონთ ჰუნგრეთის მთავრობის მოქმედება და ავსტრიას მოუწოდებენ, გულ-ხელ დაკრეფილნი ნუ სხედხართ, ღონისძიება მიიღეთ მონარქიის მავნებელ მდგომარეობის საწინააღმდეგოდაო.

ბუდაპეშტი. ქედერვარის ორგანო „ბუდაპეშტი ნაპლო“ ამბობს: ხორვატიის სეიმი დაითხოვეს, რადგანაც იგი ჰუნგრეთიდან ხორვატიის ჩამოშორების გამოცხადებას აპირებდაო. კოალიციას უფლებათა პარტიასთან კავშირი შეუკრავს ხორვატიის დამოუკიდებლობის გაუქმებისა და ტრიალიზმის განხორციელებისათვის; კომისარის გამწესება ჩნიშნავს სარევოლუციო პარტიათა ტერორისაგან თავის დაცვასაო.

ოფიციოზი „ბუდაპეშტი გირლაპი“ სწერს: ოპოზიცია ტრიალიზმის სახელით ხორვატიის ჩამოშორებას ჰქადაგებს. საჭიროა ხალხის გამოფხიზლება არჩევნების წინ, საჭიროა ხალხი სარევოლუციო პარტიებს ხელიდან გამოვგლიჯოთ და აუხსნათ, რომ მხოლოდ ჰუნგერთ-ხორვატიის შეთანხმების შერჩენა შეჰქნის ხორვატიის კეთილდღეობას. დემოკრატთა ორგანო „ჰესტი-ნაპლო“ ხორვატიას თანაგრძნობას უცხადებს, დიდი საფრთხე მოგელისო. გაზეთები ცუვაის ფელდფებლად ნამყოფს უწოდებენ. ლიბერალთა გაზეთები ცუვაის უსაყვედურებენ, ჰუნგერეთსა და ხორვატიას ერთმანეთს აშორებ, სახელმწიფოს კრიზისს ამწვავებო. კლერიკალ-სახალხო პარტიის ორგანო „ალკოტმანი“ მთავრობას ცუვაის გამწესებას უსაყვედურებს და საკონსტიტუციო გარანტიათა გაუქმების გამო ძალიან უკმაყოფილოა. კოშუტის პარტიის ორგანონი აღნიშნავენ: ისედაც აუტანელ ხორვატიის ცხოვრებას საკონსტიტუციო გარანტიათა გაუქმება უფრო გააუარესებსო.

ზაგრები. ჰუნგრეთის გაზეთების იმ განგაშის გამო, ვითომც კოალიცია ხორვატიის დამოუკიდებლად გამოცხდებას აპირებს, სერბხორვატიელთა წრე აცხადებენ, ეგ ბრალდება თავის დროზე ურვყავით, ტრიალიზმი კოალიციას სრულიადაც არა ჰსურვებიაო. ზაგრებში სრული მშვიდობიანობაა. ოპოზიციის პარტიათა ბელადები ხალხს ურჩევენ, მთავრობას საბაბი არ მისცეთ საქმეში ჩარევისაო.

საფრანგეთი და ესპანია.

პარიზი. „ჰავასი“ უარჰყოფს გაზეთებში დაბეჭდილ საფრანგეთ-ესპანიის მოლაპარაკების ცნობებს, ორთავე მთავრობამ გადასწყვიტა, მოლაპარაკების შედეგი საიდუმლოდ შეინახონ.

ბოსნია-ჰერცოგოვინა

ვენა. სრულიად იმპერიის ფინანსთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ისაზღვრება ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საოლქო უფროსისა და მათ თანამდებობის ამსრულებელთა უფლება.

ამ ბრძანებისამებრს ოლქის უფროსი ფაქტიურად საოლქო ადმინისტრაციის უფროსიცაა. იგი აწარმოებს საზოგადო პოლიტიკას და ექვემდებარება ფინანსთა მინისტრს. როგორც ჯარის უფროსს, ჩაბარებული ეყოლება მე-15 და მე-16 კორპუსი და დაემორჩილება პირდაპირ მეფეს. 1872 წლიდან დაწყებული, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მხედართა უფროსი მხოლოდ წარმომადგენელი ყოფილა, ფაქტიურად კი ყველაფერი თანაშემწის ხელში იყო თურმე. ამიერიდან ბოსნიისა და ჰერცოგოვინის პოლიტიკის ხელმძღვანელობა ჩაბარებული ექნება ოლქთა უფროსსა, ხოლო მის თანაშემწეს ოლქის უფროსის ნაცვლის სახელი ერქმევა და ბოსნიის სეიმში მთავრობის წარმომადგენლობასაც გასწევს.

უცხოეთი

ბელგიის მუშათა კონგრესი.

ბელგია ინგლისთან ძალიან ახლოს არის და დაკავშირებულია. ამიტომ ინგლისის დიდ გაფიცვის გავლენას, უეჭველია, განიცდის; ეს გავლენა დიდია და ცხოვრების ყველა მხარეს ეხება. ინგლისის გაფიცვამ გავლენა იქონია აქაურ მაღაროს მუშებზედაც.

პირველად მოძრაობა დაიწყეს ლიეჟის მიდამოების მუშებმა. როდესაც ინგლისში გაფიცვა დაიწყო, ლიეჟის მაღაროების მუშებმა დამქირავებლებს მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ჯერ ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. ამ განცალკევებამ გავლენა იქონია მოთხოვნილებაზედაც. ერთნი ხელფასის 5% გადიდებას მოითხოვდნენ, მეორენი 10 და ზოგგან 15%, რამდენსამე მაღმროში 25% მოითხოვეს. ზოგგან მშვიდობიან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, ზოგგან გაფიცვას იმუქრებოდნენ. ბოლოს ცალკე სინდიკატთა მეთაურებმა ლიეჟში ითათბირეს და მთელი ოლქის მოძრაობა გააერთიანეს. მათმა თათბირმა დაადგინა, რომ ნაწილ-ნაწილ გაფიცვას მოერიდნენ. ამის გარდა, ბეჰობამ გადასწყვიტა ეთხოვნა ნაციონალურ კომიტეტისათვის მოეწვია კონგრესი და ამ კონგრესს გამოეკვლია მუშათა მდგომარეობა.

ამავე დროს, ამისთანავე გადაწყვეტილება მიიღო შარლერუას ოლქის საბჭომ.

ამნაირად საქმე თან და თან რთულდებოდა. ნაბიჯი ბრიუსელში 23 თებერვალს ბრიუსელში მოწვეულმა ნაციონალურ კომიტეტის სხდომამ გადასდგა. კრებას დაესწრნენ ბელგიის ყველა ხუთ ქვანახშირის მაღაროს მუშათა ფედერაციის წარმომადგენლები. მთლად ბელგია ჩაერია საქმეში. ამიტომ მოთხოვნილებანიც ერთნაირი შეიმუშავეს: მოითხოვეს ხელფასის 15% გადიდება, ხელფასის მინიმუმის დაწესება.

კომიტეტმა მაშინვე გადასწყვიტა კონგრესის მოწვევა 11 მარტს ბრიუსელის სახალხო სახლში.

ბელგიის მუშათა მოძრაობას რო დააკვირდებით, ნუ დაგავიწყდებათ ამ გაფიცვის დამოკიდებულება. რასაკვირველია აქვთ მიზეზი უკმაყოფილებისა, ბევრი რამაც სჭირიათ, მაგრამ გაფიცვაზე დიდი გავლენა იქონია ინგლისში მომხდარმა ამბავმა. როდესაც ბელგიელებმა გაიგეს გერმანელი მუშები დამარცხდნენო, ოდნავ გული გაუტყდათ.

ამას გარდა აქაურმა დამქირავებლებმა ბევრი დაუთმეს მუშებსა. ისინი დასთანხმდნენ პირველ აპრილიდან ქირა მოუმატონ ზოგგან 5, ზოგგან 7 და 10 პროც. ზოგიერთებმა მარტის ნახევრიდან შემოიღეს ახალი წესები. საზოგადოდ ყველას დაჰპირდნენ ქირის მომატებასა.

ამას წინად მომხდარ ბორინაჟის გაფიცვამაც იქონია გავლენა.

ამიტომ კონგრესს საქმე გაუჭირდა. საერთო გაფიცვის გამოცხადება შეუძლებელია, კერძოს კი თვითონ კონგრესიც მოერიდება.

კონგრესზე ბევრი საყვედური გაისმოდა საერო კომიტეტისადმი.

ამბობდნენ, საკმაო ენერგიით ვერა მოქმედებდაო და ვერ გამოიჩინა საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობაო. ამისთანა საყვედურს კონგრესის უმრავლესობამ ყურადღება არ მიაქცია.

კონგრესმა გადასწყვიტა: გაფიცვას ნუ გამოვაცხადებთ, 15% ხელფასის გადიდება მოვითხოვოთო.

მიზნის მისახწევად კრებამ დაავალა ფედერაციებსა და სინდიკატებს აგიტაციის გაწევა. ფედერაციებმა კომიტეტს მოახსენება უნდა წარუდგინონ მოლაპარაკების მსვლელობისა. თუ საჭიროდ დაინახავს, კომიტეტი მოიწვევს არაჩვეულებრივ კრებას.

(„რ. ვედ.“)

წერილი რედ. მიმართ

ვთხოვ პატივცემულ რედაქციას დამისტამბოს „სახალხო გაზეთში“

უღრმეს მადლობას ვწერავ ქ. მარია ვახვახიშვილ—კრუპენნიკოვისას კალმების, კალმის ტარების და ფანქრების შემოწირვისათვის, ქ. ანნა შიუკაშვილ-ანოვსკიასას კალმების და რვეულების შემოწირვისათვის, ქ. ალ. ალ. ფონ-კრიტს საღვთო სჯულის სურათების, ცხოველთა და ფრინველთა სურათების შემოწირვისათვის, ნიკო ქადაგიძეს ორ საბავშო წიგნის შემოწირვისათვის, ვანო მუშტურაულს ორ საბავშო წიგნის შემოწირვისათვის, ქ. ელ. შიუკაშვილს 3 საბავშო წიგნის შემოწირვისათვის და ქ. თამ. შიუკაშვილს 3 საბავშო წიგნის შემოწირვისათვის ქ. შ. წ. კ. გ. ს. თ. განყოფილების სკოლისათვის.

მასწავლებელი ნ. გ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამასთანავე წარმოდგენილი ხუთი მანეთი გადასცეთ ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციას, რათა უკანასკნელმა ერთი წლით უგზავნოს „ნაკადული“ სოფ. სამების სკოლას საუკეთესო ამხანაგის თეოფილე ონისიმესძე გურგენიძის ხსოვნის აღსანიშნავად. ნაცვლად გვირგვინისა.

თადეოზი, ლეონი და ბენიამე.

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემულის გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადო იმ პირთ, რომელთაც თავიანთ მონაწილეობით ხელი შეუწყეს საქველმოქმედო საღამოს, გამართულს ქალაქ თელავში 13-ს მარტს 1912 წ. თელავის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ საღამოს გამგეს ქ-ნ მარიამ კანდელაკისას, და წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისთვის — ქ-ნ მამაცაშვილისას, ჟუკოვისას, რუსიშვილისას; თ—დ ი. ვახვახიშვილს, თ—დ ვ. ქავქავაძეს, ბ—ნ კაკაბაძეს, ონიკაშვილს, ღუდუშაურს, მესხიშვილს, ბუსლაევს, ვართაზარიანცს, კაჩაჩნიკს, და ტერ-სტეფანოვს.

ფულის წემოწირვისთვის: ალავერდის ეპისკოპოზს დავითს (5 მან.),

შუამთის მონასტრის ხანიზადარს მამა ნიკოლოზს (2 მან.), და ბ—ნ ი. პაატაშვილს (1 მან.).

საღამოს ანგარიში:

შემოსავალი — ბილეთები გაიყიდა 1 17 მ. 85 კ. შემოწირული 8 მან. ბუფეტიდან—15 მან, 45 კ. სულ შემოსავალი იყო 140 მ. 30 კ.

გასავალი. სამხედრო მუსიკა—14 მ. აფიშები და ბილეთები—6 მან. ხილი 8 მან. 20 კ. მარკები 8 მან. 78 კ. მოსამსახურეებს და მუშებს 10 მ. 10 კ., ტელეგრამები 6 მან. 50 კ. წვრილმანი—1 მან. 96 კ., პარიკმახერი—5 მან.

წმინდა შემოსავალი 75 მ. 76 კ.

მასწავლებელი თ. შიუკაშვილი.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთის 553 ნომერში მოთავსებულია შემდეგი შენიშვნა:

„პეტერბურგში ჯამართულ სრულიად რუსეთის წვრილ კრედიტის წარმომადგენელთა კრებაზე, როგორც „ბატუმ. პრავდა“ იუწყება, არ შეუშვიათ ქუთაისის წვრილ კრედიტის ინსპექტორი“.

ეს ცნობა სრულებით არ ეთანხმება სინამდვილეს. კრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ ისაკოვისაგან მე მივიღე წერილი, რომლითაც ის მთხოვდა მიმღეო მონაწილეობა კრებაზე და თუ მე ვერ წავედი პეტერბურგში და ამით დავკარგე შემთხვევა მიმღეო მონაწილეობა ჩემთვის დიდად საინტერესო კრებაზე, რომელზედაც დაჟინებით მიწვევდა ბ-ნი ისაკოვი საორგანიზაციო კომიტეტის სახელით, ეს აიხსნება არა იმით, რომ მე „არ მიმიშვეს კრებაზე“, როგორც „ბატუმსკაია პრავდა“ იუწყება თურმე (საყურადღებოა, რომელ წყაროდან კრებს თავის ცნობებს ბათუმის გაზეთი), არამედ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

ვთხოვ ეს შენიშვნა გადაბეჭდონ სხვა გაზეთებმაც, რომლებმაც ისარგებლეს ბათუმის გაზეთის ყალბ ინფორმაციით.

წვრილი კრედიტის ინსპექტორი თ-დი **ზ. მიქელაძე.**

დიდად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა ვუძღვნა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციას, რომელმაც კეთილ ინება და ჩვენს უსახსრო სასწავლებელს თავისი ჟურნალი უფასოდ დაუთმო...

დ. ონის ორ-კლასიანი საქალებო სკოლის გამგე **რაისა ჯაფარიძე.**

1912 წ. მარტ. 23 დღესა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარიში დამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში დამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარიში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარიში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარიში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 ს.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 4 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. სწოლებით).

უფასო საქმიო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თბთეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკო. ლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭიროა შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათარის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუადამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუადამეს.

განცხადებანი

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი პერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
დ ი ღ ლ ი თ:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორიბ. **ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.43)

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. სწოლებით).

ყოველ-დღე
მოგვდის:
ახალ-ახალი ქვირითი
2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შაქაია და ეოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—23)

თევზის მრავწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი ს ა უ მ ა ნ წ ვ ი ლ ო ნ ათარგმნი წიგნები:

ბუს თავგადასავალი, დასურათებული	20	კ.
გულივერის მოგზაურობა.	30	„
დედა, ანდერსენისა,	8	„
დონ-კიხოტი, დ. ყ-ნისა,	25	„
ემმა ჰავაელი პატარა ქალი.	15	„
ზანგის სამკვიდრო	10	„
ზანგი და თეთრი	15	„
ზღაპრები ანდერსენისა წ. II	10	„
კეთილი ძაღლი	20	„
ლედი-ჯენ	35	„
მოწაფის დღიური	80	„
მათიკო და მისი გიშერა	5	„
მეფე ლამზა	15	„
მამის ერთგული	5	„
მტრედი-შმიდტისა.	10	„
მეუფება წყვდიადისა ტოლსტოი	40	„
ნელო და პატრაში	10	„
პაწია და ბუნგლია.	30	„
რობინზონ კრუზე.	30	„
სვიის გვირგვინი	15	„
ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი.	60	„
ტომის თავგადასავალი.	50	„
უსახლ-კარო. ნათ. ხუსკ.	50	„
ყვავილთა შორის.	45	„
ხუთი-ამბავი.	15	„
ხუმარა სპილოები.	20	„
ჯიანეტა.	30	„

ახლად მიღებული წიგნები

ბრძოლა საქ. მოსასპობად და საქ. შესაერთებლად ანუ გ. სააკაძე და მისი დრო	1—	
ლექსები და სცენები. ახნაზაროვისა.	60	კ.
ღვთის წყალობა. საყმ. მოთხრობა გ. წერეთლისა.	20	„
პატრი მიხეილ თამარაშვილი. ზ. ჯიქ.	10	„
ამხანაგი დრამა 4 მოქ. . . .	25	„
სრული თხუზ. ე. გაბაშვილის.	1—20	„

ბე უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, О-во распространенія грамотности (წ.—1141—13)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი
წ ა მ ა ლ ი
„SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონიერულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლონთონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით, გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით, არის ბათიაქებში. ნარდად საბოთიაქო სწყობებში. Метиль 23672.
(წ. 1161.2)

ხუდადოვის ტუეში
(ნ ა ძ ა ლ ა დ ე ვ ნ ი)
როგორც წარსულ წელს, წელსაც აღდგომიდან გაიხსნება პავილიონი **„მთის ნიავი“** (Горный вѣтерокъ). არის ყოველნ. საუკეთ. გასაგრილ. სასმელები, ლუდი (პივა) და საცივი საუზმე. პავილიონთან მოწყობილია ხეივნები და მშვენიერი ჩეოები. (6.320.2)

სამშოგიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, **№ 34,** ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**
(თ. 1646.38)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, თავ-შინგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დეთა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწ ებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.
(100—1615—42)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
ადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„გ ი ო რ გ ი ს შ რ ო მ ა“

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სიღობავი ეკალი (ბლედიჩია) 100—3—6 მან.

დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—13

ფეხსაცმელეები
თოგა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—14)

თ ე ვ ზ ი თ
ვ ა ჭ რ ო ბ ა
სპირიდონ ლავრენტის
ძე ხუროშვილისა

სალდ. ბაზარში. ყოველთვის იშოვება ჩვენს მაღაზიაში და საწყობში **ახალ-ახალი ორაგული,** ზუთხი, თართი, ლოქო, კეფალია ტაბაკა თევზი—(კამბულა) ფარგა, კომრის (გოჯა) და სხვანი.

— **მუდამ იშოვება** —

ხიზილალა ქვირითი, წითელი ხიზილალა და ბოჩკის ხიზილალა, გირვანკა 1 მანეთიდან.

ზურგიელი დონისა და ადგილობრივი.
— **დ ო ზ ი** —
ცოცხალი თევზი:
ლოქო, მურწა, ფიჩხული და სხვანი.
ტფილისი,
ტელეფ. № 496. (10—1156—10)

გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა
თ. მთავრიშვილისა და **ამხ. წიგნის** მაღაზიაში (ქუთაისში) და **წ.-კ.** საზოგადოებისა და **ი. მარკვალაძის** წიგნის მაღაზიებში (ტფილისში) **კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ი ს** ახლად გამოცემული

ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“.

ტომ. I, ფასი 70 კაპ. (10—1162—5)

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია.“
1860 წელს დაარსებული.
ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. ყვავილის ტ-დ-კოლონი,

„საუცხოვო აკაციი“,
„ნუ დამივიწყებ“,
„მზიბლავი სუმბული“.

თავისებური, საუცხოვო და ხანგრძლივი
✦ უმაღლესი ღირსებისა. ✦

მთავარი საწყობი: ტფილისი, საფოთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის მხანაგობა. (23.1292.15)

ხელოვნურად შეზავებული
სამკურნალო და ხილეულოგის
წ ყ ა ლ ი
მიტროფანე ლალიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით,

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უნებლად ტფილისის გუბერნიის საკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 6**
(25.1160.3) **ტელეფონი № 411, ქუთაისში პუშკინის ქუჩა № 5.**

იმერული შამპანიური
ღ ვ ი ნ ო ე ბ ი,
ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კ ო ლ ხ ი დ ა“ და „თ ა მ ა რ ა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე. ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

ფასები 1—20 კ. 1 50 **მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (17—26.4)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-
ლური ივან-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 6 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Гоголевскій пер. д. № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომბაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოგანიანთან.

რედა. ორი **ნინო ნაკაშიძე-**
(წ.—627—48 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოს ბის ძე თუმანიშვილი.**

ნ უ ი ყ ი დ ი თ გ რ ა მ ო ფ ო ნ ს
სანამ არ მოისმენთ
პ ა ტ ე ფ ო ნ ს

მოლაპარაკე მანქანებში უკანასკნელი გაუმჯობესებაა.

ძმ. პ ა ტ ე საავციონერო საზ. **პ ა რ ი ზ ი**

უნემსოდ უკრავს. საუცხოვო უწრიპინო გადმოცემა. ფირფიტები უცვეთელია. უდიდესი რეპერტუარი. ყოველთვის ახალ-ახალი ჰანგები. შეიძლება ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდა. სრული გარანტია, ფასები საქარხნოა 25 მანეთიდან დაწყებული. ორ-პირი ფირფიტები 1 მ. 75 კ. და 1 მ. 30 კ. ადგილობრივი—1 მ. 30 კ.

ტფილისში იშოვება მხოლოდ

კარლ შუმანთან

ერთად-ერთი წარმომადგენელი **ძ მ. პ ა ტ ე**-სი.
კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების იჯარადარი.
გოლოვინის პროსპექტი, № 10.

(6—1152—3) **ტელეფონი № 939.**